26 იანვარს (7 თებერვალს) 1868. № 4. მესამე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
| --- | --- | --- |
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: — მმართებლობის განკარგულება. — ბრძანებანი კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში. — ტფილისის ამბები. — ტელეგრამმები. — სახელმწიფო ბანკიდგან. — ბუნების გავლენა კაცზე. ქერძოობითი განცხადება.

### მმართებლობის განკარგულება.

### ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

იანვრის 5-ს 1868 წელსა ტფილისში. განწესდებიან სამსახურში: არმიის ქვეითა ჯარში მყოფი, პორუჩიკი მარჯანიშვილი — ქუთაისის ქალაქის პოლიციის შტატში. დაინიშნებიან: დაღისტნის სამფლობელოს ნაჩალნიკის კანცელარიის მმართველის თანაშემწე სარაჯიშვილი. — იმავე სამფლობელოს ნაჩალნიკის კანცელარიის მმართველათ (правитель канцеляріи) ნადვორნი სოვეტნიკი: სამეგრელოს ყოფილ სამართველოს რჩევის წევრი თავადი ერისთავი. — ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს — სოვეტნიკათ (თიბათვის 30 დგან) და უფროსი ჩინოვნიკი საკუთარის მინდობილობისა დაღისტნის ნაჩალნიკთან, თავადი მალალაშვილი — იმავე ნაჩალნიკის კანცელარის მმართველის თანაშემწეთ. ზუგდიდის უეზდის ნაჩალნიკის თანამდებობის აღმასრულებელი კოლლეჟსკი ასსესორი კულვანოვსკი — მმართებლობის წევრათ ზუგდიდის უეზდის კომმისრისა (ენკენისთვის 18-დგან). სამეგრელოს ყოფილს სამართველოს რჩევის წევრი, ტიტულიარნი სოვეტნიკი სერჟპუტოვსკი — ქუთაისის გუბერნიის სამსჯავროს სოვეტნიკათ (თიბათვის 30 დგან). გადიყვანებიან: პოდპოლკოვნიკი 78 ქვეითის წავაგინის პოლკისა ვახრამოვი — ზუგდიდის უეზდის ნაჩალნიკას თანამდებობაში

ხელმოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი
გენერალ — ფელდცეიხმეისტერი
**მიხეილი.**

### ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

დეკემბრის 31-სა 1867 წელსა ტფილისს. იანვრის 1-დგან 1868 წელსა, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოსი და რჩევისა და რომელთამე დაწესებულებათა უმთავრესს სამმართველოსთან ყოფილთა ცვლილებათა გამო: იანვრის 1-დგან 1868 წელსა დაინიშნებიან: (ძველის შედგენილობისაგან კავკასიის ნამესტნიკთან დაწესებულ მოხელეებისა და ძველის უმთავრესის სამმართველოისა). კავკასიის ნამესტნიკთან საკუთარის მინდობილების ჩინოვნიკებათ: V კლასსისანი: პაპარიგოპულო, იოსელიანი და თავადი თუმანიშვილი, VI კლასსისა: ილიაშევიჩი, კოძიკოვი და თავადი ბაგრატიონ მუხრან-ბატონი და ფურცელაძე, VII კლასსისა: მელიქ-ბეგლაროვი, გრაფი კოსკული და შან-ჰირეი. უმთავრესის სამმართველოს ნაჩალნიკთან საკუთარის მინდობილების ჩინოვნიკებათ: V კლასისა იანიცკი, VI კლასის ბარონ ფონ-დერ-ბრუგგენი და ზადოლინი, VII კლასისა — წოდებით მისის იმპერატორებითი უმაღლესობის კარის კამერ-იუნკერი გრაფი პანინი. უმთავრესის სამმართველოს ნაჩალნიკის კანცელარიაში: კანცელარიის მმართველათ პრიბილი. საქმის მწარმოებლათ (дѣлопроизводителями) VII კლასსისა: ახვერდოვი. VIII კლასსის: როგოვენკო, ჩეტირკინი და უდავიჩენკო. უმთავრესის სამმართველოს რეგისტრატორათ: ამბარდანოვი. მთარგმნელათ: VII კლასსისა მელიქ-ნუბაროვი. კანცელარიის ჩინოვნიკებათ: X კლასსისა: შაბა და სტუპინი. უმთავრესს სამმართველოს დეპარტამენტში: გამგეობის ნაწილზე (по распорядительной части): საქმის მწარმოებლათ VI კლასსისა, იგივეა წევრი საქმის მწარმოებელი შენობის და გზის კომიტეტისა-ვერქბიცკი. VII კლასსისა: ზენკოვიჩი და შუკოვი. სამსჯავრო ნაწილზე: საქმის მწარმოებლათ: V კლასსისა — მელიქოვი, VI კლასსისა — ნაცვლი-შვილი. VII კლასსისა თავადი თუმანიშვილი. საფინანსო ნაწილზე: საქმის მწარმოებლათ: V კლასსისა — დემინი, VI კლასსისა — კოსტენსკი. VII კლასსისა — ბუინოვი, VIII კლასსისა — ულბრიხი. ბუხგალტერებათ: VII კლასსისა: ზაპოლსკი. VIII კლასსისა:

---

### გიორგი მუშაკაძის ცხოვრება.

#### III.

გიორგის გაუმარჯოს, ეუბნებოდა იმას ერთს კვირას დილით ერთი მეზობელი, რომელიც რილასიც სათხოვრათ მოვიდა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო ივანე.

— სადა ხარ, კაცო, აგერ ერთი კვირაა, რაც შენ აქ არა გხედავ?

— ღმერთმა რომ არ იცის ჩემი თავი! დღეისწორს ბეგარაზე ვიყავი ურმით, გორს რომ ტუსაღები იყვნენ წასაყვანნი.—

ივანე, რომელიც თითონაც ხშირათ ყოფილიყო, და გამოეცადა ამისთანა შემთხვევები, რომ შეხედა გიორგის, სახე შეცვლილს, ჰკითხა: კაცო, ეგ რა ამბავია შენ თავსა, თავპირი რათ გაგსივებია.

ეჰ, უბედურება შემემთხვა რაღა! . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ამ ლაპარაკზე გამოესწრო დედა და, შეხედა თუ არა შვილსა, თავში შემოიკრა და დაიწყო წუწუნი: ვუი შენ დედასა, შვილო, ეს რა მდგომარეობაში გხედავ, შვილო! ეს რა ამბავია შენ თავს? ეს რა ღმერთი გამწყრომია და თვალები დამდგომია; რომელი ულმერთო იყო, რომ შენ მაგისთანა მდგომარეობაში მიგახწევინა? შვილო შემოდი შინა, ჩვენებიანთ მაიას დავაძახებინებ, ეგება წამალი მოგცეს რამე.—არა, დედი ნუ წუწუნებ, არა მიშავს რა, ეხლა კარგათა ვარ, საჭირო არაფერი არა არის რა; ჩემთვის ნუ სწუხარ.

— ის უსვინიდისო ვინ იყო, რომ შენ ხელი შეგახო; ნეტამც, შვილო, მე რაც უნდა უბედურება მწვევოდა და შენ კი მაგისთანა ყოფაში არ მენახე; ვაი შენ დედასა, შვილო! იმ უკეთურმა როგორ არ შეგიბრალა ამოდენა ობლების და სახლობის ნუგეში და პატრონი, რაზედ აილო ჩემი ცოდვა, რაზედ მომკლა ზეზეურათა! მე შენ მაგ ყოფაში მაყურებელს რაღათ მინდა სიცოცხლე. ჰა! გენაცვალეთ ამისთანა ულმერთობა და უსვინიდისობა გინახავთ! შვილო, მოდი ერთი განახო კარგათა. რატომ წუხელის არ მითხარი, ხომ მოვშუშავდი რასმე და შემოგადებდი, იქნება აქამდის გაევლო.—უი, გენაცვალეთ; რას ვხედავ? თვალებო, დადექით, როგორ უყურებთ შვილის იმისთანა ყოფასა? იჰ, ღმერთო? წაუვიდა ფერი და მუხლები ჩაეკეცა, რომ დაინახა შვილის ზურგი მწარეთ-დახეთ-ქილი, დალურჯებული და ჩაჩირქებული; ცოტას გასწყდა, გული არ წაუვიდა, ისე მისუსტდა შვილის უბედურებისაგან.—

— ნუ გეშინიან დედი, ნუ სწუხარ; მე კარგათა ვარ, არაფერი არა მტკივარა. მეზობელმა კიდევ გაიქნია თავი; ე ბიჭო, დაღუნა თავი და გასწია შინისაკენ ამ სიტყვებით: ნუ გეშინიან დედი; ჯერ ყმაწვილია, ბევრ მაგისთანას გამოივლის; შენ მადლობა შესწირე ღმერთსა, რომ შენი შვილი კიდევ ეგრე კარგათ გადარჩა, თორემ ხომ გახსოვს. . . . აქ იმან მოაგონა სხვა-და-სხვა მომხდარი ამ გვარი მაგალითები.

— წამოდი, შვილო, ცოტა ხანს ლოგინში დაწექი, მოისვენე; სად მიდიხარ ესე დილაადრიანათ?

— რა წოლისა მცხელა, დედა ჩემო. უნდა წავიდე სამიოდე თუმანი ვიშოვნო სადმე, რომ კამბეჩს ცალი მაინც ვუყიდო, თორემ საქმიდამ სულ დავიცრები, აგერ, ეხლა მუშაობის დროა; ძნას ზიდვა, კალოს ლეწვა გვინდა.

დედას ამ ამბავმა უფრო მოუმატა მწუხარება, და მისუსტებული უფრო მისუსტდა და მიესვენა კედელზედა, გული წაუვიდა. შვილმა ასწია ციმციმათ და შეიყვანა შინ. დედა შვილს უმზადებდა ლოგინსა და ახლა ისე მოხდა, რომ შვილმა დედას მოუმზადა და მიაწვინა. ცოტაოდენი ცივი წყალი და ძმარი შეასხა გულზე და შუბლზე, მოასულიელა, ნუგეში მისცა, ყმაწვილები გარეშემო ესხა და თითონ გასწია თავის საქმეზე.

— ვუი-შენ დედასა, შვილო, რომ მოსულიერდა, დაიწყო დედამ, შე, საცოდავის შვილო, ვინ იცის რამდენი წვალება გამოიარე ამ ერთკვირაში; ვინ იცის, რამდენჯერ ამოიოხრე და ეძახდი შენს ჩასაქოლს დედასა და მე უბედურმა არაფერი კი არა ვიცოდი რა. წუხელისაც რომ არა მითხრა რა! ვუი შენ დედასა, შვილო! ახლა ფულის საშოვრათ წავიდა. წინაზედაც თავათ ერთი ხარი ბობმა მოგვიკლა, ახლა ეს უბედურება, — რა უნდა ქნას იმ საცოდავმა ბიჭმა, რომელ ხარჯს უნდა გაუძლოს? თავათ ამოტენა ხიზანი თავზე დავაწექი და ახლა ეს ამოტენა ზარალი! ვუი შენ დედასა, შვილო! დღეს რა ნაირი დაღონებული და ჩაფიქრებული იყო, ვინ იცის გული რა ნაირათ ყწუხს და რა ნაირს წვალებაშია?! ოხ, რაღათ მინდა სიცოცხლე მე მაგის მაყურებელს? როგორ უნდა გაუძლოს იმ საცოდავმა ამოდენა უბედურებას, ამოდენა დარდსა და ვარამსა?—

დედა რომ ამ ფიქრში და ლაპარაკში იყო, შვილმა შემოაღო კარები. ცოტა არ იყო, რომ პირის სახეზე მწუხარების განქარვება ეტყობოდა; ერთი შეხედვითვე შეატყობდი, რომ იმას გული რილათაც მოუნელებია.

— რა, შენ გენაცვალოს დედაშენი, შვილო, იშოვნე ფული?

— ვიშოვნე დედი. ოღონდ შენ კარგათ იყავ, თორემ არა გვიშავს რა, კაი კაციც ბევრია ქვეყანაზე. ჩვენი მოძღვრის ნათესავმა მასესხა ოთხი თუმანი კალოს გალეწვამდის, სარგებელში ოთხი კოდი ხორბალი უნდა მივსცეთ.

— კიდევ კარგი, შვილო, რომ იშოვნე. სარგებელსა ვინა ჩივის. ნათქვამია: „როგორც გაჭირდეს, ისე გილირდესო.“

— მეც მაგას ვამბობ, დედი, ეს კაი სიკეთე გვიყო ჩვენი მოძღვრის ნათესავმა.

დიახ, მკითხველო, ბევრია ჩვენში ამისთანა სიკეთის მყოფელნი. “დაჭირება მიჩვენე, მე გაქცევას გიჩვენებო“. ისინი ამ ანდაზით კარგათა სარგებლობენ; თუ ხელში მოიგდეს ვინმე, ულვთოთ და უსინიდისოთ ჰყვლეფენ; თვეში თუმანზე თუმანს ართმევენ და ამისთანა ხალხისა საწყალნი გაჭირვებულნი კიდევ მადრიელნი და მლოცველნი არიან.

. . . . . . . . . . . . . .

— დედი, აგერ კამბეჩიც ვიყიდე, მგონი, კარგი გამოდგეს. ახლა მე მინდა ქალაქს ქირა წავიღო, კაი ფასს იძლევიან. აქედგან შაქარია წასაღები. იმერეთიდამ გადმოუტანიათ, აქ ხარ — კამბეჩი დასდგომიათ და ველარ მიაქვთ, ჩვენ გვეხვეწებიან. ქალაქიდგანაც ტყვია-წამალია გორში ამოსატანი. სულ სამი თუმანი ქირა შესდგება. ეს ეხლა კაი ფულია ჩვენთვის. სამკალის ნახევარ ფასს მაინც გაისტუმრებს. ბევრი ბევრი დამიგვიანდეს — სულ რვა დღე და ამ ხანებში ქერიც მოიწევა, მკის დრო გახდება.

— ჰოო, შვილო, კარგსა იქ, მაგრამ, გენაცვალოს დედა შენი, თავს კარგათ გაუფთხილდი, გზაზე არ შეიციო. ხარკამბეჩებზედაც თვალ-ყური გეჭიროს, გზაზე ქურდობაა, ხარიბი არ ჩაგიჭრან.—

ორშაბათს დილით გიორგიმ ახსენა ღმერთი, შეაბა ურემი და გაუდგა ქალაქის გზასა. დედამ წასვლის დროს ხურჯინიდამ ერთი პურიც მოჰპარა შვილსა, რომ კარგა მგზავრობა ჰქონოდა და მალე დაბრუნებულიყო სახლში. მართალია, მძიმე საპალნე ჰქონდათ, მაგრამ მესამე დღეს სალამოზე შევიდნენ ტფილისში. ურმები დამოჯნაში უნდა დაეცალათ და ამისთვის იმ ღამეს ველარა მოახერხეს რა. მეორე დღეს დილით კი წავიდნენ ქირების დასაცლელათ და ფულების მისაღებათ. გიორგის ბევრჯელ და სხა ცივმა ოფლმა, მანამდის ქალაქს გაივლიდნენ; . . . . . . . . და ურემს დამოჯნაში გაიტანდა. ამას როგორც იყო გადურჩა და ახლა დაუდგა ფინთი ამინდი. ურმები გამოუშვეს დამოჯნის წინ და დაუწყეს ლოდინი ქირის პატრონსა. ლოდინით გული გადაუღამდათ, მაგრამ ვაჭარი ჯერ არსადა სჩანდა. საღამო ხანზე, როცა კარგათ აგრილდა და მზე ჩასვლას ელამდა, ძლივს ეშველათ მეურმეებს და მოუვიდათ ერთი გაბლინძული და კერატივით ჩასუქებული ვაჭარი.

— ამდენი ხანი სადა ხართ, ხუთი დღის წინათ უნდა მოგეტანათ. ხომ დამაქციეთ და დამღუპეთ; მაზანდა ჩამოვარდა და ეხლა გროშათაც აღარ მიღირს. მოდი და ამათთანა ხალხს სიკეთე უყავი, ქირა წამოაღებინე რამე! თქვე პირქუშებო რაზე დამაზარალეთ და დამიქციეთ ოჯახი, სადა ხართ აქამდის?

— ალავ, შენი ჭირიმე, ჩვენი რა ბრალია; სხვამ რომ დააგვიანოს, ამისთვის ჩვენ რათ გვიჯავრდები. ეს მეოთხე დღეა, რაც ჩვენ

ზნამენსკი და პეტრე. ანგარიშის ჩინოვნიკებათ: შემეტოვი, სოფრონსკი და მოროზოვი. სათემოს ნაწილზე (по земской части): საქმის მწარმოებლათ: V კლასსისა ნეჟინსკი, VII კლასსისა იგივე ბუხგალტერია მარდანოვი საზოგადოთ დეპარტამენტში: მთარგმნელათ:—მირზა-ფეთ-ალი-ახუნდოვი. ეგზეკუტორათ: ოსტროვსკი. კანცელარიის ჩინოვნიკებათ: X კლასსისა: პოსერბსკი, X კლასსისა მულინი, XII კლასსისა სტეფანოვი. სახელმწიფო მამულებისა, ტყისა, მამულის-პატრონობისა და ხელოსნობის (промышленность) საქმის გამგებლობის ნაწილზე: სამმართველოს ნაჩალნიკის თანაშემწეთ, იგივეა ტყის ნაწილის გამგებელი—მურავიოვი. საქმის მწარმოებლათ VI კლასსისა გორბუნოვი, სიტოვსკი და გოლოვკინი. სწავლულ ლესნიჩათ როტინოვი. აგრონომებათ: სერებრიაკოვი, შანშიევი და სპასსკი და ხატისოვი. ტეხნოლოგებათ: ბიხგოლდი და შადინოვი. ინჟინერ-ჰიდრავლიკებათ: უფროსათ—ნეშელი; უმცროსებათ: ჩროლოვი და შაბანოვი: ჩინოვნიკი საკუთარის მინდობილებისა—ახვერდოვი. ეგზეკუტორათ იგივეა. შემოსავალ-გასავლის მოხელე ბარანინი. ნემცების კოლონიების ზედამხედველათ-პოლიანსკი. სახაზინო ბაღის ადგილების გამგებლათ დეიჩმანი. კავკასიის-აქეთა მხარის საზოგადო გამიჯვნაზე ვექილებათ-თავადი თუმანიშვილი, ჯაბადრი-შვილი, ჩარკვიანი, სარქისოვი, ანიკიევი, თავადი ჯავახიშვილი, თავადი ნაკაშიძე და ლევეცკი. საქართველოს საეკკლესიო მამულების გამგებლობაში: სტოლონაჩალნიკათ—ოდიშელიძე. სტოლონაჩალნიკის თანაშემწეთ კოზმინი. საეკკლესიო მამულების გამგებლებათ ტფილისის და თიონეთის მაზრაში—არჯევანიძე. თელავის და სიღნაღის მაზრაში ლუკასოვი. გორის მაზრაში, თანამდებობის აღმასრულებლათ—დროზდოვი.

კავკასიის სასწავლო მაზრის სამმართველოში: (ადრინდელის შედგენილობისაგან კავკასიის აქეთა და იქითა მხრის სასწავლო სამმართველოს ნაწილისა). მაზრის ინსპექტორათ—ილლიაშენკო. სასწავლო მაზრის მზრუნველის (попечитель) კანცელარაში: (კავკასიის სასწავლებლის უმთავრესის ინსპექტორის კანცელარიის შედგენილობისაგან). კანცელარიის მმართველათ—შაევროვი. საქმის მწარმოებლათ: VII კლასსისა ილიაშენკო, VIII კლასსისა ინდუტნი-სპაფარი, IX კლასსისა კლემენტიევი. კავკასიის საფოჩტო მაზრის სამმართველოში, (ადრინდელ შედგენილობისაგან). მაზრის ნაჩალნიკის თანაშემწეთ—ალიხანოვი. მაზრის ნაჩალნიკის საკუთარ მინდობილობის ჩინოვნიკათ—პიტოვსკი. საფოჩტო მაზრის ნაჩალნიკის კანცელარიაში: კანცელარიის მმართველათ—ბოროდენსკი. საქმის მწარმოებლათ: VII კლასსისა კოზლოვი, VII კლასსისა თავადი ჯავახი-შვილი. საფოჩტოსიის შემდგენელ ჩინოვნიკათ, იგივე ჟურნალისტია—დეიკარხანოვი. კავკასს აქეთა და იქითა მხრის საქმის სამმართველოში: (ადრინდელ შედგენილობისაგან). კანცელარიის მმართველათ სობოლევსკი. საქმის მწარმოებლათ: VII კლასსია ასან-ჯალალოვი, VIII კლასსის ბული-შამბაროვი და მულინი. საკუთარ მინდობილობისთვის პილენკო. ლაბორანტათ რიპპასი. კავკასს აქეთა და იქითა მხარის სამოქალაქო საექიმო სამმართველოს ნაწილში: სამმართველოს ნიადაგ წევრებათ: ტფილისის საექიმო უპრავის ინსპექტორი იოანნისიანი. (ადრინდელ სამკურნალო სამმართველოს ნაწილის შედგენილობისაგან). სობესტიანსკი. საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლათ, შახ-პარონიანცი.

კავკასიის ცენზურის კამიტეტში: ცენზურის კამიტეტის თავს-მჯდომარეთ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი მაქსიმოვიჩი. ცენზორათ: აღმოსავლეთის, ენებისა—სტატსკი სოვეტნიკი უაითმაზოვი. რუსულისა და ევროპულის ენებისა კოლლეჟსკი სოვეტნიკი კოვალენსკი. კავკასიის მუზეიაში და ტფილისის საზოგადო ბიბლიოთეკაში: მუზეის და ბიბლიოთეკის დირექტორი რადდე. არხივის უფროსი და სტამბის ზედამხედველი ნირკოვი. არხივის უფროსის თანაშემწე—ტიტულარნი სოვეტნიკი დავიდოვი. უმთავრესს სამმართველოს სტამბაში—მოანგარიშე—მოხელეთ კოლლეჟსკი სეკრეტარი ფეოდოროვი. საგლეხო საქმეების დასაწყობ კანცელარიაში: კანცელარიის მმართველი, იგივე წევრი საქმის-მმართველი საგლეხო საქმეების კამიტეტისა სტატსკი სოვეტნიკი თ. თუმანიშვილი. საქმის-მწარმოებლათ: VI კლასსის მოხელე—კოლლეჟსკი სოვეტნიკი რუდკოვსკი. VII კლასისა—ნადვორნი სოვეტნიკი თ. თუმანიშვილი. არხეოგრაფიის კამისიაში. კამმისიის თავს-მჯდომარეთ—სტატსკი სოვეტნიკი ბერჟე. ნიადაგ წევრათ—ნადვორნი სოვეტნიკი ბერძენოვი. საზოგადოთ უმთავრესს სამმართველოში ჩინოვნიკებათ: VII კლასისა—კოლლეჟსკი სოვეტნიკი ლორის-მელიქოვი და ნადვორნი სოვედნიკი ხარაზოვი., VIII კლასისა—ნადვორნი სოვეტნიკი თამამშოვი და გუბერნიის სეკრეტარი ზალცმანი., IX კლასისა—ნადვორნი სოვეტნიკი სიმონოვიჩი და ტიტულარნი სოვეტნიკი კამაროვი. საკარანტინო-დამოჟნის მაზრებში—ბაქოსი და ქუთაისისა; მაზრების უფროსებათ—ბ ა ქ ო ს ი საზოგადო-საქმეთა დეპარტამენტის განყოფილების უფროსათ კოლლეჟსკის სოვეტნიკი სავენკოვი ქუთაისისა —ინსპექტორი საკარანტინო-დამოჟნის მაზრისა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ფილადელფინი. საკარანტინო-დამოჟნის 1-ლის კლასის კანტორის მმართველებათ რჩებიან ისინი აქამომდე რომელთაც ეჭირავთ ეგ ადგილები ბაქოსი—სტატსკი სოვეტნიკი დოლინინი; ნახიჩევანისა—კოლლეჟსკი სოვეტნიკი კარაკუცინი; ფოთისა —სტატსკი სოვეტნიკი ტიმოფეევი. [illegible] სტატსკი სოვეტნიკი თ. არგუტინსკი-დოლგორუკოვი—კამერალიის განყოფილების ნაჩალნიკათ. ტფილისის რეალურის გემნაზიის აღმზრდელი კოლლეჟსკი სოვეტნიკი ბეკხანოვი—კავკასიის აქეთის ხაზინის ხაზინადრათ.

ხელმოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი,

გენერალ-ფელდცეიხმეისტერი

მიხეილი.

---

## ბრძანება კავკასიის სამხედრო მაზრაში.

მთელის წებელდის მაზრისა და ნაწილობით ბიჭვინტის და დრანდის მაზრების მცხოვრებლების გადასახლება ოსმალეთში რაკი მოხდა და საჭიროთ დავინახეთ რა სუხუმის ნაწილის ახლანდელი ადმინისტრატიული განყოფის გამოცვლა ქვემოხსენებულ საფუძველთამებრ, ვწერ ბძანებას, რომ ხელმწიფე იმპერატორის დამტკიცებამდის აღსრულდეს შემდეგი:

1) სუხუმის ნაწილი, ეხლანდელის წებელდის მაზრის ადგილს გარდა განიყოს ორ მაზრათ: ბიჭვინტისა და ოჩამჩირისა.—ბიჭვინტის მაზრის ორ უჩასტკათ გაყოფილის გუმისტინისა და გუდაითისა შესადგენათ შევა ნაწილის მთელი ადგილობა კოდორის წყლის და ბაგრინის მთის შუა მდებარე.—ოჩამჩირის მაზრა განყოფილი ორ უჩასტკათ: კოდორისა და სამურზაყანოსა, შესდგება ნაწილის დანარჩენ ადგილობისაგან კოდორის და ინგურის წყლების შუამდებარე.

2) ეხლანდელი წებელდის მაზრა არ შევა ახლად აღნიშნულ მაზრების შედგენილობაში და მიენდობა გამგეობა საკუთარ პირსა რომელსაც წოდება წებელდაში მოსახლეთ ეურნე (попечитель) და ექნება მაზრის ნაჩალნიკის სიმართლე.

---

ეს ქირა ავიღეთ. იმ წიგნში არა სწერია, შენი კაცისაგან რომ მოგიტანეთ.

— ჰა, მე წიგნში მეწერება თუ ამა და ამ თარიღში გამომიგზავნიაო; მას აქეთ რვა დღეც არის, იცრუვა ვაჭარმა, რაკი რომ სიტყვა მოუჭრეს, და ამ სიტყვებით შემოუარა ურმებს. მაშ დღეს ხომ აღარაფერი იქნება და ხვალ დილით, მოვალ, დავაცლევინებთ, ავსწონავ და თქვენ ახს მოგცემთ.

წავიდა ვაჭარი და მეორე დღის სადილის უკანობამდის დაიკარგა. შუადღის უკან ორ საათზე მოვიდა ურმები დააცლევინა და დალამდა, კიდეც აწონვა ველარ მოასწრო. საწყალი მეურმეები უცდიდნენ გულხელ დაკრეფილნი; მაშ რა ექნათ? ეხლა იმათი სულები ვაჭრის ხელში იყო. თუ მორჩილებას გამოიჩენდნენ, მარტო იქნება ამით დაეტყუვნათ ქირა სრულებით, თუ არა და ფულს სრულათ ვერ მიიღებდნენ. მესამე დღეს ძლივს ასწონა. შემდეგ გახსნა ათიოდე ყუთი და რომ ორი თავი გატეხილი ნახა და ორი თუ სამიც სველები, ვაჭარმა შემოიკრა თავში: ეს რა გიქნიათ, რაზე გაგიოხრებიათ? ახლა ამას გროშათაც აღარავინ აიღებს, რაზე დამღუპეთ და დამაქციეთ.

ალავ, ჩვენ რას გეჯავრდები, იქნება ეგრე დამტვრეულიც იყო, ჩვენ რა ვიცით. ჩვენ ყუთები მოგვცეს, დაუდეთ ურმებზე და ჩამოვიტანეთ. დასველებითაც აბა ჩვენ საიდამ დავასველებდით; წვიმა არა ყოფილა ამ მოკლე ხანებში და არც წყალი გვქონია რამე გამოსაველელი? ალავ, მაგაში ჩვენ დანაშაულნი არა ვართ, გვიბოძე ჩვენი ქირა, გვეჩქარება, აგერ დაგვიღამდა, უნდა წავიდეთ, ახლა ტყვია-წამალი დავუდოთ.—

— ოხ, ნეტავი დედი ჩემის ყოშებსა, თუ თქვენ გეჩქარებათ, მაშ ამით ჩემი ოჯახი აშენდა რაღა? ჰა, კიდევ რომ ფულსაც თხოულობენ? ახლა ამოდენა ზარალი ვინ უნდა მიზღოს, განა თქვენი ქირები გახდება ამასა.—მაგრამ დაიცადეთ, თქვენი ცოდვაც არ მინდა მოგცემთ ქირას, და ჩემი ზარალის ცოტაოდენ სარგებელსაც ავიღებ. ამ სიტყვებით ვაჭარმა გამოუტანა თითო თუმანი და დაუწყო ძლევა. აჰა, შვილო, თქვენც ჩემ ცოდვაში ნუ ჩადგებით, წვრილ-შვილი ვარ, ხომ ხედავთ, რომ ვზარალდებით.

— ალავ, ნუ გვიზამ მაგ საქმესა; რათ გინდა ჩვენი ოფლი, ჩვენი ნაღვაწ-ნადაგი, ამით ხომ არ გამდიდრდები და ჩვენთვის კი ხუთ-ხუთი მანეთი კარგი ფულია, საწყალი ხალხნი ვართ.

—ჰა, რას მიჰქარავთ, გასწით, გამეცალეთ და; მაგასაც რომ გაძლევთ მაგის მადრიელნიც არა ხართ. ღმერთი, რჯული ეგეც არ გერგებათ, მაგრამ შემებრალეთ.—

— რას მიჰქარავთ, რასა ჰქვიან? ჩვენი ახი მოგვეცით, თორემ ღმერთმანიცის არვიცი რასა ვიქთ, დაიწყო გაჯავრებულმა გიორგიმ. ღმერთო, თქვენი ჭირიმეთ, ყველა ჩვენ არ გეიბრიყვებს. მოგვეცი ჩვენი ფული, თორემ.....

— თორემ პოლიციაში არ ჩამასმევინოთ. აბა ერთი რას მიზამთ? არ გაძლევთ, მაგის მეტი არ გერგებათ.

გიორგიმ აიღო ფულები სულერთიანათ თავში მიაყარა; წამოდით კაცო ქვეყანა და სამართალია, განა ყველას ჩვენ უნდა დავებრიყვნეთ?

ცოტა არ იყო, ამ სიტყვებმა ვაჭარი შეაფუცხუნა და მოარბილა: ვა. რა ნაირი გულფიცხი კაცი ყოფილა თქვენი ჭირიმეთ; აჰა, თითო მანეთსაც დაგიმატებთ.—

— რათა, ძმაო, რათა ჩემო თვალო და ჩინო, რას გვემართლები, ჩვენი ახი სრულად მოგვეცი.

— აჰა, ოროლი მანეთი იყოს, მეტს კი აღარ მოგცემთ. ამასაც იმიტომ გაძლევთ, რომ მებრალებით, თორემ ღმერთი, რჯული არ გერგებათ.

საწყალი მეურმეები სალამომდის ეღიჯინნენ და ეხვეწნენ, მაგრამ ვერა გახდნენ რა, ვერა გამოართვეს რა; თხუთმეტ მანეთში თორმეტი მანეთის მეტი არ უნდოდა მიეცა. ახლა ისინი იძულებულნი იყვნენ ეჩივლათ ერთი მესამე ნაწილის კვარტალნი ბო—შვილთან: თქვენი ჭირიმე გვიშველე რამე, ქირა ჩამოვიტანეთ და ფულს აღარ გვაძლევენ, გაგვისამართლე რამე

— იქნება, მოჰპარეთ რამე, ან გაუფუჭეთ რამე და იმიტომა.

— არა, შენი ჭირიმე, ჩვენ ყველაფერი საღათ ჩავაბარეთ.

— რამდენი ურმები ხართ?

— ათი, შენი ჭირიმე.

— რამდენი ქირა დაგიჭირათ?

— სამსამი მანეთი.

— მაშ წავიდეთ, ვეცდები თითო მანეთი კიდევ მოუმატებინო; ახლა თქვენ ჯიუტები ნუ გახდებით, იმაზე დასჯერდით.

მეურმეებმა ერთი ერთმანეთს გადახედეს, იფიქრეს, რომ არაფერი ხეირი არა არისრაო, მწარეთ გაიქნიეს თავები და არ მინდასავით უთხრეს: ჰოო, შენი ჭირიმე, გვიშველე რამე; აგერ სამი დღეა ამ ქალაქში დავეხეტებით ტყუილუბრალოთ, ჩვენი საქმიდამ დავიცარიენით, გვიშველე რამე, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს.—

— აი, წავიდეთ, ვეცდები, ეგები დავიყოლიო როგორმე:

მართლა წავიდა, ვაჭარს ფულები გამოართო და მეურმეებს ცამეტ ცამეტი მანეთი მისცა, და ასე შინაურათ გაათავა საქმე!

მეურმეები გაეშურნენ თავიანთ საქმეზე, მაგრამ დღეს ველარას მოახერხებდნენ, რადგანაც მზე ჩადიოდა, მოღამებული იყო. მეორე დღეს დილით მიიტანეს ურმები ტყვია-წამლის დასადებათ, მაგრამ აქაც ბევრი ხანი მოუხდათ ცდა. დღეში ხუთი ურმის დასაპალნების მეტს ვერ ასწრობდნენ. ამისგამო ორი დღეც ამაზე მოსცდნენ. გზაზედაც სულ ტაატი-ტატით მიდიოდნენ, რადგანაც ჯერ მძიმე საპალნეები იყო და მეორეც რომ წამალში ცეცხლის გაჩენისა ეშინოდათ. არც ურმებს დაჰყრია ხეირი, ოთხი თუ ხუთი დღის მგზავრობაში ბევრი ჰკლები და ფერსოები მოიმტვრა და გამოიცვალა. და ამ სახით შვიდის დღის ვადით წამოსული გიორგი მეოხუთმეტე დღეს ძლივს მოვიდა სახლში.—

ერთი კვირით დაგვიანებამ ბევრი საქმე წაუხდინა გიორგის. მოსვლის უმალვე იმან გასწია მინდორში ყანების სანახავათ, მაგრამ თქვენ მტერსაც ნუ უნახავს ის სანახავი, რაც ეხლა გიორგიმა ნახა: წრეულს გიორგის ექვსი დღის ქერი ჰქონდა და ეს ქერი ისე გამომხმარიყო, რომ თავ-თავები ნახევარზე მეტს ზედ აღარ ება, სულ მიწაში ჩაბნეულიყო. ამასთან რასაც თავ-თავი ჰქონდა, იმისი მომკაც გასაჭირი იყო, რადგანაც ოდნივ ხელის მოკიდებაზე თავთავები კინწებში სწყდებოდნენ და ძირსა სცვივოდნენ. ამის მნახველი გიორგის დიდი დარდი და ვარამი შემოედო გულზე, ძალიან შეწუხდა, თვალები აემღვრა და წინადამ ყმაწვილივით ტირილს მოჰყვა. საწყალს ამ ქერისაგანა ჰქონდა ვალების გასტუმრების იმედი და ეს იმედიც მოეშალა. ამ დროს ის მომდურავი იყო როგორც თავის თავისა, ისე ქვეყნიერებისა.

გამოსწია შინისაკენ, მეტი ილაჯი აღარ იყო, უნდა მოეხერხებინა რამე. დედისათვის ხმაც არ გაუცია, თითქოდე არაფერი ამბავი არა არის რაო. აიღო ხელში ცელი, ორთითი და ფოცხი, კალთაშიაც გამოიხვია ორი თუ სამი პური ყველით და გასწია ისევ ქერისაკენ. მომკა რომ აღარ შეიძლებოდა, იმან მოცელვა დააპირა, ეგონა ამით მაინც ცოტას გადაარჩენდა რასმე. სამი დღე და ღამე საწყალი გიორგი შინ არცკი მობრუნებულა; ამ დროების განმავლობაში რაც ძალა და ღონე ჰქონდა მუშაობდა, თავი არ დაუზოგვნია; ამ ხანში სულ მოსცელა, მოფოცხა და დააბულულა, მაგრამ ბულულებს კი თავთავი ძალიან ცოტა მოჰყვა, სულ მიწაში ჩარჩა, ფოცხის კბილებმა ვერა სძლიეს. რომ გალეწა, ექვსი დღის ქერიდამ თორმეტი კოდი ძლივს აიღო, თესლი ძლივსააყენა.—

ცხოვრებაში ამნაირი იღბლობა, როგორც ეძახდა, გიორგის ძალიან აფიქრებდა. ხშირათ ფიქრობდა ხოლმე ამ გვარათ: „რა ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება? ერთი უბრალოთ ფეხის გადადგმა რამდენ უბედურებას შეგვამთხვევს ხოლმე?.

. . . . . . . . . . . . . . . . .

ჩვენი სარჩენი დედამიწა და ჩვენი ჯანია, მაგრამ ესეც რომა შურთ! ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწი, სისხლის ოფლით მოპოვებულიც რომ არ ემეტებათ ჩვენთვის. უველა იმასა სცდილობს, რომ გაკვრით წაგვართოს რამე ჩვენი ნაღვაწიდამ. . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . .

ოხ! ძნელია ქვეყანაზე ცხოვრება; თუ უწინაც ესე ძნელი იყო, ნეტა როგორ მოახწია ადამიანის შვილმა? დაილოცოს, უფალო, შენი სამართალი!".

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) სახაზინო მამულებისა და შემოსავლიან სტატიებში გამგებლობა ნაწილისა დაედება საკუთარს პირს, რომელსაც ეწოდება სუხუმის ნაწილის სახაზინო შემოსავლიან სტატიების გამგებელი (завѣдывающій казенными и оброчными статями въ Сухумскомъ Отдѣлѣ).

4) Იმ სამმართველოს რიცხვთაგან, რომელიც შტატშია მოხსენებული და უმაღლესათ დამტკიცებული აგვისტოს 11-სა 1866 წელსა. სოხუმის Უმთავრესი სამსჯავრო და სოხუმის Პოლიციის სამართველო, აგრეთვე სოხუმის ნაწილის ჩაფრობა,—ეს უკანასკნელი ვიდრე შეიცვლებოდეს,—დარჩნენ მოხსენებულს შტატისამებრ, იმ ცვლილებით, რომ უმთავრეს სამსჯავროს შედგენილობაში, მაზრების რიცხვის დაცოტავებისაგამო, სოხუმის ნაწილის ადგილობრივ მცოვრებთა რვა დეპუტატების ნაცვლათ, იყოს ოთხი დეპუტატი. შემდეგ დანარჩენი სამართველოები, მოხსენებული შტატში აგვისტოს 11-სა 1866 წელსა, გაუქმდეს, გარდა ცენტრალური სუხუმის ნაწილის სამართველოს.—Ეს Უკანასკნელი სამართველო ზოგიერთ ნაწილებით შეიცვალოს და აგრეთვე გაუქმებულ სამართველოების ნაცვლათ შესდგეს ახალი სამართველოები შტატისამებრ, რომელიც აქ დაერთვის.

5) სოხუმის ნაწილის ნაჩალნიკის, სოხუმის უმთავრესი სამსჯავრო, მაზრის სამართველოები და სიტყვიერი სამსჯავროები და ქალაქის სოხუმის Პოლიციის სამართველო უნდა ხელმძღვანელობდნენ სოხუმის ნაწილის მმართველობის დებულებითა უმაღლესათ დამტკიცებულითა აგვისტოს 11-სა 1866 წელს და ხელმძღვანელობდნენ აგრეთვე იმ ინტრუქციებით, რომელიც ამ დებულებათა დასამატებლათ და განსამარტებლათ ჩემმიერ იყვნენ და იქნებიან გამოცემულნი და ისე, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც სოხუმის ნაჩალნიკს უნდა შეეტანა, ამ დებულებათამებრ, თავისი წარდგინება Ქუთაისის Გენერალ—Გუბერნატორთან, ამას იქით ამ თანამდებობის გაუქმების შემდეგ, უნდა წარმოუდგინოს მე პირდაპირ, ანუ კუთვნილებისამებრ ჩემთან დაწესებულ ცენტრალურ სამმართველოს მიერ.

6) სოხუმის ნაწილის ნაჩალნიკმა, ჩემმიერ დარიგებულ ჩვენებათამებრ მოსაზრებით უნდა შეადგინოს და წარმოადგინოს ჩემად დასამტკიცებლათ ინსტრუქცია Წებელდის მცხოვრებთა მზრუნველისადმი და სახაზინო შემოსავლიან სტატიების Გამგებლისადმი, ხელმძღვანელობისათვის ამ პირთა თანამდებობის აღსასრულებლათ.

7) Ვიდრე უკანასკნელათ გადაწყდებოდეს საქმე სამგზავრო ხარჯის ფულის მოპოებისა, სამართველოების მოხელეების სამგზავრო ხარჯი მიეცემოდეს ჩემმიერ საკუთრათ დანიშნულის ფულიდგან, რომელიც გადადებულია ამ საგანზე შტატისამებრ აგვისტოს 11-სა 1866 წელსა.

ხელმოწერილია: მთავარ-მმართებელი Კავკასიის Არმიისა, Გენერალ-Ფელდცეხმეისტერი.

**მიხეილ.**

---

**ტფილისი.** „Кавказъ“ ში სწერენ იანვრის 24-ს ქალაქში კერძო პირებს: ტელეგრამმები მოსვლიათ და ამბავი მოუტანიათ, რომ ყველა სომხების პატრიარქი-კათოლიკოსი Გეორქი, Ოსპირში მობძანებულა ამ თვის 19-სა Ქალაქში მისის უწმინდესობის მოსვლას მოელიან პარასკევს ამთვის 26-სა. Აქაური სომეხთ მოქალაქობა და ამქრობა აპირებს ქალაქს გარეთ დაუხვდეს თავის უმაღლესს სასულიერო მწყემსსა.

---

Კავკასსიის სატელეგრაფო ნაწილის სამართველო გამოაცხადებს, რომ იანვრის 22-დგან ქალაქს ნუხში ტელეგრაფის სტანცია გაიმართა და იმავე რიცხვიდგან დეპეშების მიღება დაიწყო.

---

„Დროების“ მკითხველებმა იციან, რომ ქალაქში გაიმართა ავათმყოფების მისასვლელი სახლი, სამკურნალოა, სადაც ყველას შეუძლია მისვლა Ექიმებთან რჩევისთვის. Кавказъ-ში სწერია, რომ წასულ წელს ამ ქრისტიშობის თვეში სამკურნალოში 270 სული ავათმყოფი მოსულა: კაცი 136 სული, დედაკაცი 93, ყმაწვილი—41. Წინა დროებში იქ მავალ ავათმყოფს უვლია 112 კაცსა. სულ ერთათ უვლიათ 811 გზის; ამისგამო თითო ავათმყოფზე მოდის, რომ შუათანა რიცხვით ყოფილან ორჯერ და დღეში მოდის თითქმის 31 გზობა (კვირა დღეს გარდა, რადგანაც დაკეტილია). Ფასით ყოფილა 318 ჯერობა, უფასოთ 493. Უნდა მოვაგონოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ვისაც შეძლება აქვს, თითო გასვლაზე ექვსი შაური უნდა მისცეს და ვისაც შეძლება არა აქვს, მუქთათ უშვებენ.( Ღარიბებს ზოგიერთ წამალს იქვე აძლევენ აგრეთვე უსასყიდლოთ).

---

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

Ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი,** 20 იანვარს. Დაწესებულია ცენტრალური კამიტეტი მემკვიდრის თავმჯდომარეობით. Კამიტეტმა უნდა მოაგროვოს მთელი რუსეთიდგან შესაწევარი იმ ადგილებისათვის, საცა შიმშილობაა.

Კანდიელებმა ძალიან დაამარცხეს Ოსმალები.

---

**სახელმწიფო ბანკიდგან.** Პირველი ხუთ პროცენტიანი მოგებით სესხის ტირაჟი სახელმწიფო ბანკის სამმართველოში მოხდა იანვრის 2-სა 1868 წელს თანა დასწრებით სახელმწიფო კრედიტის დაწესებულებათა (установленія) რჩევის წევრთა, პეტერბურღის ქალაქის Დუმის დეპუტატებისა, ბირჟის კომიტეტისა და ხალხისა.

| სერიის N N | ბილეთების N N | მოგება. | სერიის N N | ბილეთების N N | მოგება. |
|---|---|---|---|---|---|
| 00,166 | 41 | 200,000 | 90,917 | 47 | 8,000 |
| 19,751 | 18 | 75,000 | 15,003 | 23 | 8,000 |
| 05,104 | 1 | 40,000 | 02,126 | 45 | 5,000 |
| 04,060 | 15 | 25,000 | 13,391 | 49 | 5,000 |
| 17,243 | 47 | 10,000 | 05,383 | 42 | 5,000 |
| 05,364 | 49 | 10,000 | 12,676 | 10 | 5,000 |
| 17,825 | 49 | 10,000 | 19,346 | 18 | 5,000 |
| 06,458 | 46 | 8,000 | 09,928 | 19 | 5,000 |
| 09,283 | 39 | 8,000 | 03.914 | 33 | 5,000 |
| 08,851 | 50 | 8,000 | 03,602 | 12 | 5,000 |

### ა ს—ა ს ი თ უ მ ა ნ ი მ ო გ ე ბ ა.

| სერიის N | ბილეთი. N | სერიის N | ბილეთი. N |
|---|---|---|---|
| 01,877 | 43 | 14,877 | 11 |
| 04.552 | 46 | 11.929 | 12 |
| 01,804 | 4 | 18.971 | 29 |
| 06,158 | 14 | 13,109 | 39 |
| 15,937 | 47 | 17,915 | 20 |
| 12,421 | 48 | 04.043 | 45 |
| 09,840 | 42 | 02,997 | 47 |
| 10,992 | 21 | 08,036 | 35 |
| 01,997 | 44 | 14,351 | 28 |
| 10;372 | 27 | 00,655 | 50 |

---

## ბუნების გავლენა კაცზედ.

როგორც ჩვენი წინა-პარი ადამი იყო, აგრეთვე ჩვენც ყველანი მიწის შვილები ვართ. ჩვენა ვართ მიწასთან განუყრელად შეკავშირებულნი; ის გვაძლევს ცხოვრების საზრდოსა თავის ნოყიერი ნაწილებით და ჩვენს ფილტვებს ჰაერს უმზადებს; შესახებ ნივთიერებითის ცხოვრებისა ის არის ჩვენი მაცხოვრებელიცა და მოძრაობის მომცემიც. ჩვენ, როგორც მიწის ზურგის მცხოვრებნი, მონაწილენი ვართ იმის ყოველგვარს მოძრაობაში და დამოკიდებულნი ვართ იმის კანონებზე. Არა თუ ცალ-ცალკე აღებულნი პირნი ეკუთვნიან მიწასა, არამედ მთელი საზოგადოებისა და მთელი ხალხების ცხოვრებაც ისეა მოყვანილი და მოწყობილი, როგორს მოწყობილობასაც ითხოვს იმათი საცხოვრებელი ნიადაგი და როგორი ბუნებაც იმათ გარშემო ახვევია. მიწის ნიადაგი და გარემო მყოფი ბუნება ძალიან მოქმედებს კაცის მთელ აგებულებაზედ (ორგანიზმოზედ); ყველა გვარი ბუნებითი მოვლინება, ზღვისა და მდინარეების მიდენ-მოდენა და ატმოსფერის (*) თვისება—აძლევენ კაცს თავისებურს ხასიათს და ძალ-ღონეს (*) ამასთან ყველა ისტორიული შემთხვევა (ფაქტი), უმეტესობით, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზედ არის დამოკიდებული, თითქმის შესაძლებელია ვსთქვათ, რომ კაცობრიობა წინ მიდიოდა განათლებაში მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელნიც მდებარებენ მაღლობზედ, ვაკე ალაგას და ზღვის პირებზე. Ეს ჭეშმარიტებანი Ჰუმბოლტისა, რიტტერისა და ბიუთოს გამოკვლევის შემდეგ შეიქმნენ გაცვეთილ ჭეშმარიტებად. Თავი და თავი აზრი ჩინებული „ქვეყნის მეცნიერების“ მწერლისა, Ჰუმბოლტისა ის იყო, რომ „დედა-მიწა კაცობრიობის სხეულია და კაცი კი დედამიწის სულია.“

ხალხში რამდენათაც განათლება ვრცელდებოდა და რამდენათაც ცოდნა ემატებოდა, იმდენათ ბუნებაზედ ზევითა დგებოდა, ესე იგი იმდენათ უფრო გამოდიოდა ბუნების გავლენიდგან და თვითონ იწყებდა იმაზედ გავლენას; უწინდელს გაუნათლებლობის დროს კაცი უდრტვინველად და გაუგებრად ემორჩილებოდა ბუნებას. რამდენათაც ცოდნა და გამოცდილება მოემატა კაცსა, განათლდა, იმდენი უფრო თავის სურვილის გვარად მოეპყრო ბუნებას: ბევრგან შესცვალა იმან ხმელეთის პირი, ერთის მხრით მიმავალს წყლებს მისცა სხვა მხრით მიმდინარეობა და თითქმის ჰაეაც გამოსცვალა. Ერთის სიტყვით, რამდენიც დრო გადის და მეცნიერება ემატება კაცს, იმდენი იმის მოქმედება სულ სხვა სახეს აძლევს დედა-მიწის ზურგს: რაც დასანგრეველია—ანგრევს და რაც გასაკეთებელია-აუმჯობესებს. Თუ ხალხი განათლებით წინ არის წასული, მაშინ იმისი მოქმედება ბუნების გაუმჯობესობაზედ არის მიმართული და თუ განათლებით დაბლა სდგას—მაშინ ის ან სულ არ ეხება ბუნებას და ან თუ ეხება—აფუჭებს იმას. Ბარბაროსი ჰმუსრავს მიწის მოსავალს და დაუდევნელად სტაცებს იმას თავის საუნჯეს, ასე რომ უწინ ნაყოფიერი და შემუშავებული მიწა, იმისი მოქმედებისაგან ჰხდება აოხრებული და ვერანი. Ჭეშმარიტი განათლების პატრონი კაცი კი სულ სხვანაირად ექცევა მიწის ნიადაგს, რადგან ცხადად ესმის, რომ იმისი სარგებლობა მტკიცედ არის შეკავშირებული იმის გარემოების სარგებლობაზედ და თვით ბუნების სიმდიდრეზედაც. Ამის გამო თავის წინა მოადგილესაგან მიცემულს ზარალს ის ისევ უბრუნებს მიწას და მოუქნელის აოხრების ნაცვლად ჰშველის იმის ნაყოფიერებას, გაუმჯობესობას და გამშვენიერებასაც. როგორც ის შეუძლიან კაცს, რომ აიღოს მიწიდგან უფრო და უფრო მომეტებული სარგებლობა, ისე ისიც შეუძლიან, რომ ნაყოფიერებით გაამდიდროს იგი და მისცეს მის მიმზიდველი და მშვენიერი სახე.

Დედა-მიწის ზურგზედ მრავალი ისეთი ალაგი არის, რომელიც მხოლოდ აოხრების სურათს წარმოუდგენს მხილველს. Კაცს მრავალ ალაგას თავისი სამშობლო-საცხოვრებელი უნაყოფო-უდაბურ ალაგად გარდუქცევია: „სადაც იმას ფეხი მიუკარებია, იქ ბალახიც აღარ ამოდის“. Სპარსეთისა, Მესოპოტამიისა, და Იდუმეს უმეტესი ნაწილი, მცირე Აზიისა და Არაბეთის მრავალი ალაგები, რომელნიც ერთს დროს ნაყოფიერებისაგან „დუღდნენ და გადმოდიოდნენ“ და მრავალ ხალხს ჰკვებავდნენ, ახლა უნაყოფო და უხალხო ალაგებათ შეიქმნენ. Ახლა იქ თითქმის აღარავინა მოსახლეობს და თუ კიდევ დარჩომილან ვინმე, ისინიც ცარცვა-ტაცობითა და ადამიდამ აქამდის ხვნა თესვითა სცხოვრებენ. როდესაც რომის შემძლებელობა დაემხო ბარბაროსთაგან, მაშინ Იტალიამ და იმისმა მახლობელმა თემებმა თავიანთ მიწიდგან უზომოდ ნაყოფის გამოტანა დაიწყეს და ამით მთელი თემები უდაბურებად გარდააქციეს; ის ალაგები ახლაც, ორი ათასი წლის დასვენების შემდეგ, მხოლოდ უნაყოფო მინდვრებს და მომწამლავ გარეშებს (ჭაობი ადგილები Იტალიაში) წარმოგვიდგენენ. Ამათ გარდა Ამერიკის შეერთებულს შტატებშიაც ბევრი ისეთი ალაგებია, რომელნიც უწინ ყოფილან ძალიან ნაყოფიერნი და ეხლა კი მხოლოდ ველური მხეცების საცხოვრებლად დავარგანან. Ამ ალაგების გაპერანებას ყველას და ყველგან თითქმის ერთი და იგივე მიზეზი აქვს: ეს მიზეზიც ის არის, რომ კაცი თავის სიხარბით და უფიქრულობით რაც მიწას ნაყოფიერება აქვს—სულ გამოაცლის და სანაცვლოს მიბრუნებაზედ კი აღარ იფიქრებს. Სადაც მიწას ესე დაუზოგავად ეპყრობიან, იქ უეჭველად ამავე ხვედრს უნდა მოელოდნენ.

Წარმოვიდგინოთ კიდევ ერთი მიწის აოხრების მაგალითი. Არა ალაგს არ მოსვლია ისეთი სწრაფი და დაუყოვნებელი აოხრება, როგორი აოხრებაც Ფრანციის ალპებს (*) მოსდით. Ამ მხარეში წვიმა და თოვლს მთების კალთებიდგან თანდათან ნაყოფიერი მიწა ჩამოაქვს და ზღვაში მიაქვს; ამის ნაცვლად შემუშავებული ფერდოების—კლდეები, ნანგრევების გროვები და ყორედ ნაქცევი ველებიღა რჩება; ამასთან თან-და-თან ფერდოებზედ ხევები ჩნდებიან და ერთიან მთის ზურგს რამდენიმე გაცალკევებულ მთებათა ჰყოფენ; შემდეგში ეს მთები ჩამოწვებიან ხოლმე და თავიანთ ნაქცევებით მთელს არე-მარეს მოჰფენენ ხოლმე. Ზოგიერთ-ალაგზედ ამ მხარეში, რამდენიმე ვერსტის სივრცეზედ კაცი ვერც ერთ ამწვანებულს ბუჩქს ვერა ნახავს. Აქ მხოლოდ აქა-იქ გახუნებული საძოვრები და დაქცეული სახლები ღა ჩანს; ეს სახლებიც იმისგან დაქცეულა, რომ იმათი ახლოს მდებარე მთის ნანგრევები იმათ კედლებსა სცემიან. Ამ მხარის მფლობელებს თავიანთის უმეცრებით მთის ფერდებზედ ტყე გაუკაფავთ და ამის გამო წყალი, უწინ (ტყის დროს) ნიადაგის მაპოხიერებელი და მაპატიებელი, ეხლა გამაოხრებელ სახსრად შექმნილა.

Ტყის გაწყვეტით აი ისეთი მავნებელი ცვლილება ხდება ხოლმე დედამიწის ზურგზედ და უმეტესად მთიან ალაგას. Უტყეო ვაკე-ალაგები უფრო ნაკლებად არიან ზარალში და უფრო წყნარად და გვიან მოხდება ხოლმე იმათი ნაყოფიერების დაკარგვა; მაგრამ მაინც იმათთვისაც აუცილებელია ეს ხვედრი. Ყველა გეოგრაფები (**) ერთ-ხმათ ამტკიცებენ, რომ წვიმა იქა კლებულობს, სადაც ტყე შეშის მჭრელებისაგან არის აკლებული, და იქ მეტობს, სადაც ახლად ჰნერგვენ ტყეს; ტყის გაწყვეტას ბუნებაში სხვა და სხვა ცვლილება მოაქვს და წვიმებიც უთანასწოროდ მო-

---

(*) Ატმოსფერა (ბერძნულათ.) არის ჰაეროვანი ნივთიერება, რომელიც გარეშემო ახვევია ჩვენს დედამიწას.

(*) Მეცნიერთაგან გამოკვლეულია, რომ რომელი ხალხიც ზღვასა და დიდ მდინარეებს ახლოს სცხოვრებს, ის ვაჭრობის მოყვარეა, რადგან მისვლა-მოსვლა ადვილად შეუძლიან სხვა ქვეყნებში; ამ სხვა ქვეყნებში მისვლა-მოსვლით ისინი მოიპოვებენ გამოცდილებას და ამ გვარად ეხსნებათ ჭკუა და გონება. Მაშასადამე დიდი წყლების ახლოს მცხოვრებნი მალე ნათლდებიან; ამასთან თავისუფლების მოყვარენიც არიან, მაგალითათ; ბერძნები, ფინიკიელები, რომაელები, ანგლიელები, ამერიკელები, ჰოლლანდიელები და სხვ. Თბილს ალაგას მცხოვრებნი არიან უფრო ზარმაცნი და ამისგამო ცუდობა და სინაზე უყვარსთ; მაგ. ოსმალები, ჩინელები, ინდოელები და სხვ. Ვინც გრილ-ალაგას სცხოვრობს, ისინი უფრო გამჭრიახენი და მშრომელნი არიან, სწავლასა და მეცნიერებასაც მისდევენ, მაგ. თითქმის მთელი Ევროპა და ჩრდილო-ამერიკის ხალხი. Ცივს, გაყინულ ალაგას მცხოვრებნი, ტანითაც, და გონებითაც დაჩაგრულნი არიან; მაგ. ესკიმოსები (ხალხია), ლაპლანდიელები, და სხვა ჩრდილო ქვეყნების მცხოვრებნი და სხვ.

(*) Ალპები იმ მთების ზურგს ჰქვიან, რომელნიც მდებარებს Ევროპაში და შეადგენს Ევროპის უდიდესს მთის ზურგს... Ფრანცუზების Ალპები იმ Ალპების ნაწილს ჰქვიან, რომელიც Ფრანციასთან მდებარებს და Ფრანცუზებს ეკუთვნის.

(**) Გეოგრაფია ბერძნული სიტყვაა; ქართულად იქნება: მიწის აღწერა. Გეოგრაფია ის მეცნიერებაა, რომელიც იპყრობს დედა-მიწის ზურგის აღწერას თავის ქვეყნებით, წყლებით და ხალხებით; ის შეიცავს, თუ რა დამოკიდებულება აქვს დედა-მიწას სხვა ცის მნათობებთან და პლანეტებთან, და ან მრავალს გვარს იმის პირს რა გავლენა აქვს ცხოველებზე და მცენარებზე. Ხოლო გეოგრაფი ეწოდება ამ მეცნიერების მცოდნეს და გამომკვლეველს.

ჰყავს. ამას გარდა წვიმები ტყიან ალაგებს სარგებელს აძლევენ და უტყეოს კი აზარალებენ. წვიმის წვეთები როდესაც ტყეს ეცემიან, ხის ფოთლები იმათ მაშინვე ძირს არ უშვებს, არამედ ნელ-ნელა ხმელი ფოთლებით მოფენილს ალაგზედ აწვეთებს; ამის გამო როცა ტყიან ალაგას წვიმა მოდის—ძირს ერთბაშად არ ეცემა, არამედ ნელა-ნელა ეცემა და ამიტომ მიწის ნიადაგს უჯდება შიგ; უტყეო ალაგას კი წვიმა ერთბაშად ეცემა და ველარ ასწრობს ნიადაგში გაჯდომას, ხდება ნიაღვრად, ხევებში გროვდება და მდინარეებში მიდის. ამ გვარს ნიაღვრებს ხასიათად ისიცა სჭირს, რომ ზევითა პირს ნაყოფიერს მიწას ჰგლეჯს და ჰლექავს მდინარებში. ამას გარდა ამ გვარ ალაგებში მდინარეების ადიდებაც ხშირად მოხდება ხოლმე და ბევრჯელ ისე ადიდდება, რომ ჰრღვნის და აოხრებს თავის ნაყოფიერს ნაპირებს. ამ უბედურს შემთხვევებში დამნაშავე თვით კაცი არის და დაჯერებით უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარი უბედურების აცილება ძალიან შესაძლებელია, და თუ სრულებით აცილება არა—შემცირება კი უეჭველად ადვილია: ამისთვის საჭიროა მხოლოდ ძველი ტყეების გაფთხილება და ახალის დაშენება. (*)

ამ გვარად კაცის ხელთ არის წყლის მოკლებაც და მომატებაც რომელსამე ალაგში. ამასთან რადგან ჰავის სიკარგეც და სიცუდეც დამოკიდებულია სისველისაგან და სიხმელისაგან, ამიტომ კაცს ისიც შეუძლიან, რომ მხარეს მისცეს კარგი ან ცუდი ჰავა. სადაც ქალაქები დაშენებული, იმ ადგილებში ყოველთვის მომატებული სითბოა, ვიდრე გარეშემო დაუშენებელს ალაგებში.. მაგრამ ამას თავი დავანებოთ.. სადაც კარგა დიდი ტყე გაუწყვეტიათ და სახნავ მიწებად გადუქცევიათ, იქ სხვა-და-სხვა წლის დროებზედ მოხდება ხოლმე დიახ საგრძნობელი ჰავის ცვლილება.. ჰავასა სცვლის აგრეთვე მემადნეებისაგან ხელუხლებელი ნიადაგის თხრა. შვეციის მრავალ ალაგებში, სადაც ამ საუკუნეს წინ ტყე იყო და ეხლა კი გატიტვლებული ალაგია—გაზაფხული უწინდელზედ ორი კვირით უწინა დგება ხოლმე. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ტყეებიც ისე არბილებენ ჰავას, როგორც ზღვები, ესე იგი ზამთარს ათბობენ და ზაფხულს აგრილებენ. ზოგიერთი მწერალი ამტკიცებს, რომ ჩრდილო-დასავლეთის სუსხიანი ქარი, რომელიც სევენნის (1) მთებიდგან ჰბერავს და პროვანსს (2) საშინლად აზარალებს, თვით კაცის ხელით არის გაჩენილი, რადგან იმ ქარმა მას აქეთ დაიწყო ბერვა, რაც იმ მოხსენებულ მთებზედ ტყე გაწყვიტეს. ჭაობების ციება და სხვა-და-სხვა ავათმყოფობა, რომელსაც ჩვენში დაცდას ეძახიან, იმ ალაგას ჩნდება ხოლმე, სადაც ტყეს შეუჩნდება შემმუსვრელი ცული.

კაცის გავლენა აგრეთვე დედამიწის მცენარეებზედაც დიახ საგრძნობელია. უზარ-მაზარი ხეები ბევრ-ტყეებში შემცირდნენ, რადგან კაცის გაუმაძღრობა მხოლოდ იმათ შემუსვრას ფიქრობს და მაგიერის დანერგვას კი არაოდეს. მაგალითად უნდა მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა (3). იქ გადასახლებულთ ევროპელთ დაჰხვდათ იქაურს ტყეებში საშინელი ტანის ხეები, რომელნიც სიმაღლით აუწევდნენ სამოცს და სამოცდა ათს საჟენამდის. ეს ხეები იმათ თითქმის სრულებით გააწყვეს და სანაცვლოზედ კი არ უფიქრიათ. ან კი რა ადვილია იმოდენა ხეების აღზრდა? იმათი აღზრდისათვის საჭიროა ასი და ათასი წელიწადები, და რასაც ესე დიდხანს უნდა ლოდინი, იმას გაუნათლებელი კაცი ადვილად ვერ აკეთებს, რადგან არც ძალიან შორს დამნახველია და მომავალზედაც, უმეტესად იმისთანა გვიან მომავალზედ, არა ფიქრობს; ამასთან იმას თავის საჭიროების დაკმაყოფილება თუ ახსოვს, თორემ მომავალი ჩამომავლობისათვის ზრუნვა ეზარება. ამის გამო ტყეებსაც მოსდისთ ესეთი შემმუსვრელი ხვედრი, რომელსაც თვით კაცისთვისვე მრავალი უხერხობა და უბედურება მოაქვს. სახნავი ალაგების მოთხოვნილებას, გემების საჭიროებას და სხვა-და-სხვა ვაჭრობას მოაქვს საშუალო ტანის ხეების მუსვრა. ეხლანდელ დროში ყოველ წელიწადს იჭრება რამდენიმე მილლიონი ხე (4). ამათ ნაცვლად ბალახეული მცენარე მრავლდება და უფრო-და-უფრო ვრცელ ადგილებს იჭერს. თითქოს შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ კაცს შეჰშურებია ბუნების ძლიერება და ცდილობს შეამციროს ყველა მიწის ნაწარმოები (მოსავალი), რომ ისინი იმაზედ ზევით არ იდგნენ.

კაცობრიობას პირუტყვებსა და ცხოველებზედაც ამ გვარი გავლენა აქვს. ეჭვი არ არის, რომ სიბირის მამონტი, ირლანდიის დიდი ირემი და კიდევ სხვა დიდი ტანის ნადირები იმისთვის გასწყდნენ, რომ მონადირეები სდევნიდნენ იმათ. ახლანდელ დროში ლომი, მარტორქა და სპილო უფრო და უფრო ჰშორდებიან კაცს და ადრე თქნება თუ გვიან — სრულებით გაწყდებიან დედამიწაზედ. უზარ-მაზარი სტელერია (steleria) წარსულ საუკუნეში ბერინგის სრუტზედ (ზღვის გარდასადინარი) (1) ძალიან ბევრი იყო და ეხლა ერთიც აღარ სადა წანწალებს. გრენლანდიის (2) ვეშაპსაც ყველა ზღვებში ემტერებიან. ზღვის ღორიც ყოველ წლივ ათასობით წყდება კაცისაგან; ნათელ თევზსაც ბევრს იჭერენ და ისინიც თანდათან ცოტავდებიან. მრავალ გვარ ფრინველსაც ამ გვარადვე ჰმუსრავს კაცი.

მაგრამ ფრინველის უფიქრელ გაწყვეტას მრავალი მავნებელი შედეგი მოაქვს. მავნებელი და მაზარალებელი მწერები უფრო-და უფრო მრავლდებიან (მაგ. ჭიანჭველა, კალია და სხვა.), რადგან მტერი ფრინველები კაცისაგან მოშორებული ჰყავთ. აგრეთვე ვეშაპების და იმის გვარი თევზების გაწყვეტამ ის მოიტანა, რომ ზღვაში მედუზები და ინფუზორიები (3) მრავლდებიან.

ეხლანდელ დროში კაცობრიობა თავისი მრავალ გვაროვანი მეცნიერების შემწეობით მიხვდა, თუ რამდენი უბედურება დაიხწია თავს; ამიტომ ის ეხლა იწყებს ბუნებასთან ბრძოლას, იწყებს და ბევრს თავის უწინდელ შეცდომილებაებს ეხლა ისწორებს. ამას გარდა ეხლა მრავალი საზოგადოებაები და თითქმის მთელი ხალხნიც არა სჯერდებიან ბუნების უწინდელს დონეზედ დაყენებას, არამედ ცდილობენ, კიდეც, რომ უსაჭირო და უმაქნისი ალაგები შეიმუშაონ და გამოიყენონ და დაუდგრომელი შრომით ბევრგან ასრულებენ ამ თავის წადილს.

ამ უკანასკნელ საუკუნეებში მრავალი სასარგებლო ცვლილებები მოხდა ამ ჩვენ დედამიწაზედ, ისეთი ცვლილებები, რომელნიც ცხადად გვიმტკიცებენ, რომ კაცის მტკიცე ნების და დაუცხრომელ შრომას ბევრი კარგი საქმე შეუძლიან. ამის დასამტკიცებლად მოვიხსენოთ ჰოლლანდიელების დაუდგრომელი შრომა, რომლის შემწეობით იმათ თავიანთ ნიადაგი ზღვისა და მდინარეებისა რღვნისაგან გაამაგრეს. საშუალო საუკუნეებში ჩრდილო ზღვის კიდეებზედ მცხოვრებნი ყოველწელიწადს ზღვის ტალღებს უნდა მორიდებოდნენ და ამისგამო სულ უკან-და-უკან იწევდნენ. ამასთან, თითქოს თავის მტერნი არიანო, ჰკაფავდნენ იმ ტყეებს, რომელიც ჰფარავდა იმათ ქვიშა მომბერავი ქარისაგან და ტორფიან ალაგს გაუფთხილებლობისაგან გადააქცევდნენ ხოლმე ჭაობებად და გუბებად ასე რომ დიდი ღელვის დროს მრავალი ათასი დღიური მიწა, ნახნავ-ნათესით და დაშენებული სოფლებით წყლისაგან ინთქმოდა ხოლმე.

უკანასკნელ საუკუნეებში ნიდერლანდიის მეურნეობა წარმოგვიდგენს ჩვენ ოკეანესთან გამუდმებულ ბრძოლას; ამ ბრძოლაში გამარჯვებული რჩება ნიდერლანდიელი მეურნე. ის მუდამ თვალყურს ადევნებდა ტალღებს, რომ შეეტყო, თუ საითა ჰქონდათ იმათ ძალა და ის მხარე იმან ათას გვარი ოსტატობით გაამაგრა; ამასთან მიწის დაყრით და კიდობნების ჩაყრით ისე მოაგვარა საქმე, რომ ოკეანეს უკანვე წაართო მრავალი მიწა, რომელიც უწინ დაენთქო იმას თავის ტალღების ძალით. უფრო გამოსაჩენი საქმე იმათი ის იყო, რომ მთელი პარლემის ტბის წყალი ზღვაში გადაასხა." და ახლა აპირობს ზუდერზეს სრუტის გამშრალებას, იმ სრუტისა, რომლის გაჩენაზედ ჩრდილოეთის ზღვის ღელვას მოუხმარებია ათასი წელიწადი!

ყველა განათლებულს ქვეყნებში ამ გვარად სასარგებლოდ შრომობს კაცი და მრავალს მავნებელს და უსარგებლო ალაგებს სასარგებლო ალაგებად გარდააქცევს. ყველგან, თითქმის უდაბურ, უწყლო მინდვრების განაყოფიერებასაცა ცდილობენ არტეზის (4) ჭების მოთხრით და ამ საქმეს კიდეც ასრულებენ. ესეთი სასარგებლო შრომა კაცისა დედამიწის ზურგის სახეს ძალიანა სცვლის, და ამ ცვლილებას, რასაკვირველია, ჰავის ცვლილებაც მოსდევს. ერთი სიტყვით კაცს თავის შრომითა და ძალით დედამიწის ზურგზედ ბევრი ცვლილება მოუხდენია. ის ადგილები, რომელზედაც უწინ თვით მერცხალიც ვერ გაჰბედავდა ყოფნას, ახლა მშვენიერ—და სიამოვნო ალაგებად არის ნაქცევი; სადაც უწინ ჭაობები, წუმპოები და მომწამლავი ჰავა ყოფილა, ახლა იქ გამშრალიც არის და ჰავაც ძალიან სასიამოვნო და მარგებელია. მაშასადამე გაუსაძლისს და დამცდელს ალაგებსაცა აქვსთ შველა. ცუდი ჰავაც შესაძლებელია, კარგ ჰავად გახადოს. თუ ჰავის გამოცვლა შეუძლიან კაცს, უეჭველია ისიც შეეძლება, რომ ოდესმე წვიმებიც გაახშიროს. ამის მაგალითიც კი არის. ლომბარდიაში ეხლა უფრო ბევრი წვიმა მოდის, ვიდრე უწინდელ დროში; ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ იქ ახლა ბევრი წყლის არხები გაიყვანეს მინდვრების მოსარწყავად, და ეს არხის წყლის სიუხვე წვიმის წყალსაც აბრალებს, რადგან სველი მინდვრებიდამ და წყლით სავსე არხებიდგან ორთქლად არეული წყალი ღრუბლებად გროვდება და უკანვე ჩამოდის წვიმად.

ყველა ამ გვარს ახირებულს შრომასთან რომ ბუნების გამშვენიერებაზედაც ფიქრობდნენ, მაშინ უფრო უკეთესი იქნებოდა კაცისთვის. ზოგჯერ მთელი ხალხი ისე უანგარიშოდ ექცევა თავისგან დასახლებულს ალაგს, რომ თითქოს იმისი წადილი ბუნების დამახინჯება იყოს; სადაც აქა-იქ გადარჩენია ხე-ცულს იმასაც კი სჭრიან და ნაცვლად აკეთებენ გახრეკილს ქუჩებს და მეიდნებს. განა არ შეიძლება, რომ ქუჩებიცა და მეიდნებიც გააკეთონ და სახლებიც აშენონ ისე, რომ ბუნებას თავის სიმშვენიერე და ჰაერის გაწმენდილი ხეები არ წაართონ?!. თუმცა ხალხის ანგლისში შეფარდებით... შედარებით მიწა ცოტაა, მაგრამ იქაურს მხვნელ-მთესველს დიდი ნაყოფიც გამოაქვს მიწიდგან და ბუნებაც მშვენიერად აქვს შემკული; იქაურ მინდვრებზედ ჰნახავს კაცი აქა-იქ მდგარს ათას წლოვანს მუხის ხეებს, რომელთაც თავიანთი მდიდროვანი შეფოთლილი ბოჯღლები ნახნავებზედ აქვთ გადაფენილი; იქ ყველა სოფელს, ყველა ციხე-დარბაზებს მშვენიერად ამწვანებული ტყეები ახვევია. ირლანდიაში და შოტლანდიაში, სადაც უწინ გაუკაფავთ ტყე და მოუტიტვლებიათ მთები და ბორცვები, ახლა კვალად არიან ხშირი ტყით მოფენილნი, რომელიც უიმისოთაც მშვენიერს ბუნებას უფრო მშვენიერს სახეს აძლევს. ამ გვარად კაცის ხელოვნებას და ძალას შეუძლიან გააკეთოს და გაამშვენიეროს ბუნება თავის სასარგებლოდ და სასიამოვნოდ.

მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ახლანდელს დროში მოწინავე ხალხნი ბუნების სიმშვენიერეს ბევრს აღარ დასდევენ; ისინი მშვენიერებასა და პოეზიას ზევით ძალასა და გამორჩენას აყენებენ. ახლანდელს დროში კაცის წადილი ის არის, რომ თავის მოთხოვნილების გვარად შეიმუშაოს მიწა და სრულებითაც დაიმორჩილოს იგი, რომ მისს აუარებელს კაცის სიმდიდრეს, უფრო ადვილათ ჰხვეტდეს. დედამიწის ყველა მხარეზედ რკინის გზებსა ჰფენს, ტელეგრაფის მავთულს აბამს, ცდილობს უდაბური ხრიაკი ადგილები ნაყოფიერად აქციოს, წყლების ადიდების და მინდვრების წალეკვას ბოლოს უღებს; ამას გარდა მთებსა და ბორცვებს ასწორებს, მთებში გასავალს ხვრელებს (ტუნნელი) აკეთებს, წითელსა და საშუალ ქვეყნის ზღვას აერთებს, და ამასთან აპირობს კიდევაც, რომ წყნარი ოკეანეს წყალი ატლანტიდისა ზღვის წყალთან შეაერთოს. მაშასადამე კაცი ეხლანდელს დროში მხოლოდ იმასღა ფიქრობს, რომ მთელი დედამიწის ზურგი თავისებურად გადააკეთოს და სრულ იმის ბატონად შეიქმნეს, რომ იმის ნაყოფით უფრო უკეთ ისარგებლოს. თუ ამ დრო'ში გამორჩენის წადილმა ასეთი სასწაულები მოახდინა, მაშ მაშინ რაღა უნდა შეიძლოს კაცის ჭკუამ და ძალამ, როდესაც მეცნიერება კიდევ სხვა სახსრებსა და ხერხებს მისცემს იმას? როდესაც კაცი გაიგებს ბუნების ზოგიერთს ძალას და მიზეზებს და თავის მოქმედების სახსრად მოიხმარებს იმათ, მაშინ ის ყველა საქმის ასრულებას შეიძლებს, რაც უნდა დიდი იყოს ეს საქმე; მაშინ იმას იქნება ისიც არ გაუჭირდეს, რომ რაც მთებია თუ კი საჭირო იქნება,—სულ ზღვაში უძახოს და ამ გვარად ამაღლებული ალაგები—დაადაბლოს და ჩაღრმავებულები—ამოავსოს და საშინელი სივრცის მქონე უსარგებლო ალაგები ნაყოფიერად და კაცისთვის სახმარ ალაგებად გახადოს!.

(*) ქუთაისის კორრესპონდენტი, წარსული წლის (1867 წ.) რიონის ადიდებას („დროება" 1867 წ. № 29) ძალიან საბუთიანად აბრალებს ტყის გაწყვეტას იმ ალაგებში, სადაც რიონსა და იმის პატარა მდინარეებსა აქვსთ სათავე. ამ ტყის გაწყვეტისავე ბრალია ისიც, რომ იგივე კორრესპოდენტი (№ № 11 და 13) იმერეთის ჰავის დაუდგრომელობაზედ ამბობს, რომ ლამე დაღამდება ზაფხულად და გათენდება ზამთრად და ან ღამდება ზამთრად და თენდება ზაფხულად. ეს ჰავის დაუდგრომლობაც, როგორც ქვევით ვსტყვით ტყის გაწყვეტისავე ბრალია, რადგან ტყეს ისეთი თვისება აქვს, რომ ჰავას არბილებს და ამიტომ უეცარი ცვლილება ტყიან ალაგას არ მოხდება ხოლმე. ამ გვარს ჰავის დაუდგრომლობას, რასაკვირველია, თან მოსდევს ყველა გვარი საქონლისა და კაცის ავათმყოფობა (მაგ. ჭირი, თურქული, ციე-ცხელება და სხვ.), მცენარეების მაზარალებელი უდროო ქარები და ნაყოფიერი ნიადაგის მრღვნელი ნიაღვრები, რომელნიც ახრიაკებენ ნიადაგს და ნაყოფიერი მიწა მიაქვსთ მდინარეებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ საქართველოში ბევრჯერ და ბევრგან მოხდება მდინარეებისაგან რღვნაც, საქონლის ავათმყოფობაც და ყველა გვარი ციებ-ცხელებაც, რომელნიც საქონელსაც და პატრონსაც საკმაოდ აზარალებენ, რადგან ჩვენში მზა დაშენებულს ტყეს თითქმის არსად არ უფთხილდებიან და ახლის დაშენება ხომ ჯერ ფიქრადაც არავის მოსვლია. ქართველმა კაცმა იცის: მიჰყვება ტყეს თავიდგან და ბოლომდის გაჰკაფავს განურჩევლად დიდსაც და პატარასაც, და მხოლოდ იმასა ფიქრობს, რომ თითონ ისარგებლოს, ესე იგი ცეცხლი დაინთოს, სახლი აიშენოს და ფული აიღოს და ამ გვარი დაუდევნელობის შედეგებზედ, ან მომავალი თაობის სარგებლობაზედ დარდი სრულებით არა აქვს. ჩვენში იქნება არც გვალვა ყოფილიყო როდისმე, არც მცენარეების მაზარალებელი ქარი, არც მდინარეების ადიდება და წალეკვა იმათგან მთელი წლის ჭირნახულისა და არც მრავალ გვარი კაცისა და საქონლის ავათმყოფობა და ხოცვა,—რომ ტყეებს რიგიანად ეპყრობოდნენ, განურჩევლად არა სჭრიდნენ დიდსა და პატარა ხეს და ან მოჭრილის სანაცვლოდ ჰნერგავდნენ სხვას. თუ კვლავაც ესე მოიქცნენ და ძველებურად არ დაზოგეს ტყე—ჩვენი მამულის მეპატრონე ბევრჯერ იჩივლებს გვალვაზედაც; ნიაღვრებზედაც, წყალდიდობაზედაც, უდრო სიცივესა და სიცხეზედაც, საქონლის ჭირზედაც, ციებ-ცხელებაზედაც, ზენა და ქვენა ქარზედაც და კიდევ, ვინ იცის, რამდენ სხვა უბედურებაზედ!.. ღმერთმა ქნას, რომ ყველა ჩვენმა მემამულემ მიუგდოს ყური ამ მეცნიერთაგან გამოკვლეულს ჭეშმარიტებებს და აღარ აოხროს დაუზოგავად მრავალი სიკეთის მომცემი ტყე...

(1) სევენნის მთები ეწოდება მთის ზურგს, რომელიც მდებარეობს ფრანციის სამხრეთ-დასავლეთის სმხარეზედ.

(2) პროვანსი არის ფრანციის სამხრეთით მდებარე მაზრა საშუალ ქვეყნის პირზედ.

(3) კანადა ანგლიის დიდი კოლონიაა, ჩრდილო ამერიკაში.

(4) თავი დავანებოთ ამ ტყის მუსვრას, რომელსაც მოახდენენ ხოლმე დურგლები, გემების მკეთებლები და რკინის გზის ინჟინრები. ამას გარდა კიდევ რამდენ წვრილმან საქმეზედ მიდის ხე, რამდენი ათასი დღიურები არიან მოტიტვლებულნი სპიჩკების მკეთებლებისთვის. რენტცშის სიტყვით ერთი პატარა ქალაქი, ზონნებერგი, ფიჭვის ხისაგან ყოველს წელიწადს სამი ათას ტონნს (ტონნი—სამოცი ფუთია) სათამაშოს აკეთებს. ამერიკის ომის პირველ ორ წელიწადში ერთმა ევროპელმა ზავოდმა თოფის კონდახებისთვის ოცდა რვა ათასი კაკლის ხე შემუსრა.

(1) ზღვის სრუტი, ანუ გარდასადინარი ჰქვიან იმ წყალს, რომელიც ორ ზღვას აერთებს. ბერინგის სრუტი აერთებს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ოკეანებს.

(2) გრენლანდია არის ჩრდილოეთის ოკეანეს კუნძული, მახლობლად ჩრდილოეთის ამერიკისა ძალიან ცივი ქვეყანაა.

(3) ინფუზორია არის ერთი პატარა ცხოველი ბუშტის მგზავსი, რომელსაც არც პირი და არც გასავალი აქვს. ცხოვრებს წყალში და ტანით შეისვამს წყალში გამდნარს ნივთიერებას.

(4) არტეზის ჭებს იმ გვარ ჭებს ეძახიან, რომელთაც დიდი მიწის ბურღით სთხრიან. ამ გვარი ჭის გასაკეთებლად იქამდის სთხრიან მიწას ვიდრე წყალს არ მიაწევენ; თუ წყლამდის გახვრიტეს დედამიწა, მაშინ წყალი დედამიწაზედ მაღლა მოჰხეთქს ხოლმე. ამ გვარი ჭები მოიგონეს არტუაში ფრანციის თემია და იმის გამო ეძახიან არტეზის ჭას.

## კერძოობითი განცხადება.

### რუსული მაგაზინიდგან.

პატივცემულთა საზოგადოების წევრთა, რომელნიც მოდიან ტფილისის გარეთმდებარე ადგილებიდგან და რომელთაცა ჰსურთ სხვა-და-სხვა საქონლის ყიდვა, გამოვუცხადებთ, რომ ჩვენ ვივაჭრებთ ხოლმე კვირაობითაც წირვის შემდეგ, იმისთვის რომ ამ დღეებშიაც შეეძლოთ ზემოხსენებულთა პირთა ნივთების ყიდვა. ვაჭრობაში შევაჭრება არ არის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го января 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.